შპს თეგეტა აკადემია
TEGETA ACADEMY LTD



შპს „თეგეტა აკადემია“

ქ.თბილისი

05 მარტი 2019

ბრძანება N 066

შპს თეგეტა აკადემიაში პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ არაქართულენოვან სტუდენტთათვის ქართული ენის მოდულის სწავლების და ქართული ენის კომპეტენციის დადასტურების შესახებ

შპს „თეგეტა აკადემიის“ წესდების 7.1, 7.3 და 7.7. მუხლების, შპს „ თეგეტა აკადემიაში“ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქციისა და დამტკიცების წესის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების და სპეცდანიშნულების ავტოტრანსპორტის სერვისის პროფესიული საგნამანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტის დამტკიცების შესახებ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 03 აგვისტოს № 698 /ი ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ და სასწავლო პროცესისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერის 2019 წლის 05 მარტის №R 48 მომართვის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. შპს თეგეტა აკადემიის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მოდულის- „ქართული ენა A 2“- გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხულ პირთათვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია;
2. შპს თეგეტა აკადემიაში ჩარიცხული არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით;
3. ქართული ენის კომპეტენციის დასადასტურებლად, შპს თეგეტა აკადემიის მიერ, ტესტირების გზით დადგინდება არაქართულენოვან სტუდენტთა ქართული ენის კომპეტენციის დონე;
4. ქართულ ენაში კომპეტენციის დადასტურებისთვის შექმნილ კომისიას და ტესტირების ჩატარებისთვის საჭირო წესსა და პროცედურებს ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით ადგენს შპს თეგეტა აკადემიის დირექტორი;
5. საქმის წარმოების სამსახურს დაევალოს დაინტერესებული მხარისთვის ცვლილების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.
6. წინამდებარე ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე

დირექტორი

ლია ბერუაშვილი /